თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 22 აპრილი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი –ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში №№1,2,5,8,9,13,14,15,17,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი) შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში №№1,2,5,8,9,13,14,15,17,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი) შესყიდვის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.
კომისიის წევრმა: ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში №№1,2,5,8,9,13,14,15,17,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2014 წლის 25 აპრილს 12:00 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათა განისაზღვროს 2014 წლის 25 აპრილის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური (მის: 4600, ქქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: **ნოდარ მიქიაშვილი**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **ზურაბ გაბიძაშვილი**

კომისიის წევრები:

მალხაზ ბასილაძე

კახაბერ დალაქიშვილი

ირაკლი გიორგაძე